


# უმჯობესი

2020 წელი

№6

ყველზე უმჯობესი ლიტერატურა ბავშვებისათვის





# შოკოლიტ-სარჩევი:



ღის-მღერალი  
ინმა მადეიძე



ბიბიუს ანბიუს შაბიუს  
ბაბა ვახუცია



რბიკვიდეა  
დეა მუხომბე



სადავნი მღერალი  
ვალი ბეზინი



პიტი მღერალი  
ნათია ჯანაშია



მედა მამი...  
მევა დემომენი



ქინო-მამი  
მანი გახეიძე







# თამარი ფხაკაძე

ტყეში ცხოვრობს ორი ჯუჯა,  
 რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.  
 რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა  
 ფოლოს ჭამენ მუჭა-მუჭა.  
 ფოლოს ჭამენ  
 მუჭა-მუჭა.  
 ყვავილს კრეფენ  
 ბლუჯა-ბლუჯა.  
 ყვავილს კრეფენ,  
 ფოლოს ჭამენ  
 რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.  
 უკრეფიათ გუშინ ხენდრო,  
 მოიტანეს ერთი ვედრო.  
 ერთი ვედრო,

დიდი ვედრო,  
 სავსე ვედრო  
 მნიფე ხენდრო!  
 ხარშეს, ხარშეს, ურიეს,  
 შაქარი ჩაურიეს,  
 ჩაამატეს მაყვალი,  
 მოცვი ახალ-ახალი,  
 ჩააყარეს კუნელი,  
 დატრიალდა სურნელი!  
 რომ მოხარშეს მურაბა,  
 გვინილადეს ძმურადა.  
 მეც მომართვეს ერთი ქილა.  
 მხიარული  
 გქონდეთ დილა!



მხატვარი ივანე დიკოტოშვილი



# ერთგულება

ზღარბუნიას, შემოდგომის  
გრილი წვიმით ნასველებს,  
ყელი გასცივებია და  
აცემინებს, ახველებს.

ზღარბის სახლში ცხოველები  
არ შედიან საერთოდ,  
არც მალავენ – ეშინიათ  
გრიპი არ გადაედოთ.

კოდალას კი, იქვე კაკლის  
ხეს რომ უკაკუნებდა,  
ზღარბის კვნესა შემოესმა,  
გაუფუჭდა გუნება.

ვის რად უნდა ფრთებდანისკარტ  
ცარიელი მნახველი?!  
უცებ ამოინისკარტა  
ცხრა-ცხრატყავა ძახველი.

მივიდა და მოიკითხა,  
ეფერება, თან ართობს,  
არც ნისკარტი მოარიდა  
სურდოიან ავადმყოფს.

ორჯერ ოფლი მოადინა,  
გაუმშრალა ეკლები.  
უთხრა: მალე მოგეშვება,  
მალე გამოკეთდება.

საბანს თბილად დააფარებს,  
გვერდებს შემოუკეცავს.  
გაუთბება ზღარბუნიას  
თათუნებიც, უბეცა.

ეგ კი არა, იფანცქალეს  
სიხარულით ეკლებმა.  
კოდალას არ ეზარება,  
მტკივან თავზე ევლება.

ცხოველებმა ძღვნად მოართვეს  
ჟოლოს, მარწყვის ტორტები...  
კოდალა კი ეფერება,  
გვერდიდან არ შორდება.

რომ დაფიქრდე, უცნაური  
არაფერი მომხდარა –  
განუყრელი მეგობრები  
გახდნენ ის და კოდალა.

ცოტა ხანში მოიხედა  
ავადმყოფმა ეკალამ,  
ნახა, მისი სახლის კართან  
საჩუქრები ეყარა...

მაგრამ იცის ზღარბუნიათ,  
დღეს კოდალას დობილმა,  
რომ ყველაზე დიდი ძღვენი  
ერთგულება ყოფილა!





შია ხსენიანი

# გაწვილა

ეს რა ჭექა და ჯახია?  
შეხედე, როგორ გახია  
ელვამ გოდორა ღრუბელი!  
ვოიო, – ატირდა ღრუბელი  
გამიფატრაო მუცელი...  
რაც იმან ცრემლი დაუშვა,  
რამსისხო, კუმპალ-კუმპალი!  
გზაზე არც ვინმე გაუშვა,  
არც რამე, გაულუმპავი!



მხატვარი ილია ჭავჭავაძისი

ზონლო მაცაბერიძე

# ბეკეკა და კესო

წარამარა კამათი აქვთ,  
ბეკეკას და კესოს;  
ვერ გაიყვეს ერთმანეთში  
ვინ – ვინ უნდა მწყემსოს.

მე შენ გეტყვი,  
რომელიმე  
დააფრთხოვენ მგელსო?!

ჰოდა, სანამ მგელი მოვა  
დავარიგოთ ჩვენცო;

კესო მწყემსოს ბეკეკა –  
თუ, ბეკეკამ – კესო.



მხატვარი ილია ჭავჭავაძისი



ნათია როსტიაშვილი

# ფისუნას სტუმრება

თაგუნების სახლისკენ,  
აცა-ბაცად ფაჩუჩებს,  
ლამაზ კაბაჩაცმული  
ფისო მიაფაჩუნებს.

სოროს ღია ჭიშკართან,  
ფეხშიშველა წრუნუნას,  
ეჭვისა და შიშისგან,  
ოფლი გასდის წურწურით.

– სხვენზე გეპატიყები,  
თაგვო, მოდი იცოდე!  
კარგ მზარეულს თუ იცნობ,  
ისიც გამოიყოლე.

დაბადების დღე მაქვს და  
თავს ვუდგები თავდებად –  
საჩუქარს თუ მომიტანთ,  
ძლიერ გამიხარდება!

იმ სალამოს ფისოსთან,  
სხვენზე სა-მზარეულოდ,  
თაგვმა მარდად წაასხა,  
მთელი საგვარეულო.



ზოგმა წრფელი გულით და  
ზოგმაც – ხელის კანკალით,  
იუბილარს აჩუქეს  
თითო მუჭა კაკალი.

ამოავლეს ჩურჩხელა,  
თხილიც დადგეს ჯამებით.  
ფისოს უთხრეს: – ჭამაშიც,  
ჩვენვე დაგეხმარებით!

ფისოს მალე ჩასთვლიმა...  
ჭამით ძლივს რომ სუნთქავდნენ –  
იმ მზრუნველმა სტუმრებმა,  
ქვაბიც მოუსუფთავეს!

დილით, კაკლის ნაჭუჭში,  
ფისოს დახვდა წერილი:  
„ხვალაც მოვალთ, მადლობა!  
ზეგაც მოვალთ. წერტილი.“





# რა ჰქვია შენ მეგობარი?

ერთხელ უცნაური ამბავი მოხდა: ქალაქის მერმა ახალი დღესასწაული დააწესა!

– „მეგობრობის დღე“ არ გვაქვს. ჩვენი მოქალაქეები მოწყენილები ამიტომაც დადიან. ვბრძანებ: ყველამ იპოვეთ მეგობარი და ქალაქის მთავარ მოედანზე „მეგობრობის მეჯლისზე“ მობრძანდით, 35 მაისს, 28 საათსა და 77 წუთზე!

იმ ქალაქში დღე-ღამე ხომ 32 საათი გრძლდებოდა! კვირის დღეები კი – ორჯერ შვიდი იყო. ამიტომ ადამიანები ორშაბათიდან თორმეტშაბათამდე მუშაობდნენ, სწავლობდნენ და მეგობრებისთვის დროც არ რჩებოდათ. ქალაქის მერმა ისიც ბრძანა, ვისაც მეგობარი არ გეყოლებათ, „უმეგობრობის გადასახადს“ გადაიხდითო. წერილებიც მოგვწერეთ, ამ ფულით ვის დახმარებას ისურვებდითო.

მერის განცხადება ტელევიზიით გავრცელდა. მიმართვა ქუჩებშიც გამოაკრეს. ქალაქის მერი უამრავ წერილს ღებულობდა: ბატონო მერო, ღარიბებს დავეხმაროთ! წიგნები შევუძინოთ აფრიკელ ბავშვებს! ბატონო მერო, მარტოხელა მოხუცებს დავეხმაროთ! სათამაშოები ვუყიდოთ ობლებს! ბატონო მერო, გთხოვთ, ქალაქში ბევრი ყვავილი და ხე დავრგოთ! თეთრი დათვების ფონდში გადავრიცხოთ! ბატონო მერო, მარსზე დასახლების პროგრამას დავეხმაროთ!

ამ უცნაურ ქალაქში უსულო საგნებაც მოლაპარაკე არსებები იყვნენ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ქალაქის მერის ბრძანებებს. გინდ მერხი ყოფილიყავი, გინდ თხილის სამტვრევი, გინდ ბოტი, ბურთი, კბილის ჯაგრისი და გინდ, აკვარიუმის თევზი

– ბრძანება ყველას თანაბრად ეხებოდა. ადამიანებსა და ნივთებს თავგზა აებნათ, როგორ ეპოვნათ ასე უცებ ნამდვილი მეგობრები?!

თქვენი თავი წარმოიდგინეთ. ვისზე იტყოდით დაუფიქრებლად – აი, ესაა ჩემი მეგობარიო?! დღესასწაულამდე კი არც ისე ბევრი დრო რჩებოდა. უმეგობროებისთვის, ქალაქის მერმა ბრძანა, მთელი წელი ფუნთუშებში კრემს აღარ ჩავდებთო! არც ეკლერშიო! ზამთარში თოვლსა და სანტა-კლაუსს არ შემოვუშვებთ ქალაქში და, მხოლოდ პლასტმასას გუნდებს გავყიდით, ისიც ძალიან ძვირადო! ზაფხულში კი მხოლოდ ცხელი წყალი იდენს მილებშიო. წარმოგიდგენიათ ცხელი ფანტანი მაშინ, როცა გაგრილება გსურს? თუმცა უცნაურ ქალაქებში უარესებიც ხდება.

დაბნეული საშაქრე აბაზანისკენ წავიდა, პირსახოცი ხომ არაა ჩემი მეგობარიო, ბურთი ჩიტების ბუდისკენ ახტა, ფანქარი დიდი მუხისკენ გაიქცა, იქნებ ესაა ჩემი მეგობარიო, ქვაბი ქუჩაში გავარდა ავტობუსისკენ, ფეხსაცმელი ფუნთუშების საცხობისკენ, კატა ბანკში შევარდა, წიგნების ჩანთა სტადიონისკენ გაიქცა, ქურის ძაღლი მუზეუმისკენ, ციყვები ბიბლიოთეკისკენ ...ადამიანებაც დაეძებდნენ ნამდვილ მეგობრებს, ფიქრობდნენ, იქნებ ტელეფონია ჩვენი მეგობარიო, იქნებ საშხაპეო, ზოგს ნაყინი ეგონა მეგობარი, ზოგს – გაზეთი, ზოგს – წნევის ნამალი, ზოგსაც – ტელევიზორი.

ამ ამბავს მხოლოდ ერთი პატარა გოგონა თანო და ლეკვი ჰამი უცქერდნენ უდარდელად.





– მიკვირს, რატომ ვერ ხვდებიან ვინაა მეგობარი, ვისთან გაუხარდებათ ყოფნა? – ჰკითხა თანომ ჰამის. – აი, ჩვენ ხომ ნამდვილი მეგობრები ვართ? რა კარგია, რომ ერთმანეთი გვყავს!

– „ჰამ ჰამ“ ანუ, ჰო, ჰო“, მეგობრის პოვნა რთული სულაც არაა, მე ხომ შენ გიპოვე, – კუდი ააქიცინა ჰამიმ.

– ჰამი, მოდი, ჩვენ დავეხმაროთ სხვებს მეგობრების პოვნაში, – დაბზრიალდა ჰამი, დატრიალდა თანო და საქმეს შეუდგნენ.

თანომ ფერადი ფურცლები აიღო და ზედ ლამაზად დაანერა. „მეგობარია, ვისთანაც ყოფნა გიხარია“, „მეგობარია, ვინც გასაჭირში დაგეხმარება“. „მეგობარია, ვისაც საიდუმლოს უმხელ“, „მეგობარია, ვისი ჩახუტებაც გახარებს“. „მეგობარია, ვინც არასოდეს გავნებს“, „მეგობარია, ვინც გიფრთხილდება და არასდროს განყენინებს“. „მეგობარია, ვინც არასოდეს მიგატოვებს“, „მეგობარია, ვისთანაც ერთად თამაში, სეირნობა და დასვენება გიხარია“... უჰ, რამდენი წერა! ზოგს ჰამი კარნახობ-

და, ზოგსაც თვითონ იგონებდა. „მეგობარია, ვინც ყოველთვის გეხმარება“. თეთრი ფურცელიც არ დატოვეს – „მეგობარია ვისაც შენ საყვარელ სათამაშოს აჩუქებ, არასდროს გაგებუტება, მაგრამ თუ გაგებუტა, მალევე შეგირიგდება“.

რა კარგია, რომ თანომ წერა იცის! რა კარგია, რომ ჰამიმ ფერადი ქაღალდები არ დაუხია. არც ფლომასტერები დაუღეჭა. ტყუილად ხომ არ ერქვა მეგობარი?! მერე ეს ფურცლები ქალაქის ქუჩებში ხეებზე მიანებეს და შინ დადლილები დაბრუნდნენ. წარწერები ყველას მოეწონა. გაიძახოდნენ – რა ლამაზია, რა კარგი აზრები წერილი. ადგნენ და თავადაც დაწერეს ასეთივე ფერადი წერილები. წერდნენ, თუ როგორი მეგობარი უნდოდათ ჰყოლოდათ. ბავშვებს დიდებმაც მიჰბაძეს და ძველ მეგობრები მოიკითხეს.

მეორე დღეს ქალაქში მზეც კი მეგობრულად ანათებდა.





ფერად წერილებს სიხარულით ჰფენდა სხივებს. ყველა მეგობარზე ფიქრობდა და სიხარულით ევსებოდა გული. ზოგი 112-ზე რეკავდა: მეგობრის პოვნაში ხომ ვერ დამეხმარებითო, ზოგიც – 111-ზე. ეხმარებოდნენ კიდევ! ყველა მეგობარს ეძებდა!

თანომ და ჰამიმ საგნებსაც მოუძებნეს მეგობრები: მაგიდას – სკამი და ყვავილებიანი ლარნაკი! თეფშებს – დანა-ჩანგალი! ჩანთას – რვეული და წიგნები! პენალს – კალამი, სახაზავი, ფანქრები. პურს – კარაქი, პალტოს – კაშნე, ქუდი და ხელთათმანები, კბილებს – ჯაგრისი, ეზოს ნარგავებს – წყალი, ნაგავს – ურნა, სავარძელს – პლედი, ზღაპრების წიგნებს – ნახატები... ისეთი მშვენიერი და მოწესრიგებული გახდა გარემოც.

უმეგობროდ თითქმის აღარავინ დარჩა. მაგრამ ის, ვინც ჯერ კიდევ მარტო იყო, მომღიმარი თვალებით აკვირდებოდა გარშემო მყოფ ადამიანებს. უნდოდა, მათ შორის მალე ამოეცნო მეგობარი.

ქალაქის მერიც ბედნიერი ჩანდა! ეტყობოდა, რომ ეკლერები ისევ სავსე იქნებოდა კრემით! სანტაც ძველებურად გვესტუმრებოდა!

მეგობრობის მეჯლისზე თანოს „საუკეთესო მეგობრის“ ჯილდო ერგო. უგემრიელესი შოკოლადისგან დაემზადებინათ. ჰამის კი, მოზრდილი ძვალი აჩუქეს ქალაქის მერის ხელმონერით! მეჯლისმა დიდხანს გასტანა. შენ და შენი მეგობარიც დაგინახეთ იქ. მხიარულად ცეკვავდით. ჰო, სახელი არ მახსოვს, რა ჰქვია?







მიხეილ იასნოვი, ნამდვილი გვარი გურვიჩი (1946-2020). რუსი პოეტი და მთარგმნელი, არაერთი საბავშვო პოეტური კრებულის ავტორი, მისი წიგნები ნათარგმნია ფრანგულ, ინგლისურ, პოლონურ, ესტონურ, ლატვიურ, რუმინულ ენებზე. რამდენიმე წლის წინ მან თარგმნა თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები და გამოსცა კრებული „კენჭი და ტალღა“. ამჯერად გთავაზობთ მიხეილ იასნოვის რამდენიმე ლექსს, რომელიც ქართველმა პოეტებმა თარგმნეს.

## მე ვიზრდები

დღეს მე სიტყვაძუნნი ვარ.  
ხმა არ ამომეღება...  
ვაი, კბილი სარძევე  
მერყევა, მერყევა!

„უკმეხია...“ ამბობენ.  
დედას ბრაზი ერევა.  
მე კი კბილი სარძევე  
მერყევა, მერყევა.

ჩემ საყვარელ მანვნის სუბს  
ვერ ვჭამ –  
არ მსურს შეხებაც.  
მე ხომ კბილი სარძევე  
მერყევა, მერყევა.

პირს ვერ ვაღებ!  
ჩუმიად ვარ.  
დიდი გავხდე – ვოცნებობ.  
აქეთ-იქით ვარყევ კბილს.  
სულ ცოტაც და – მომძვრება!

ვაშა!  
მომძვრა! აბა რა,  
აღარა ვარ პატარა!

უკან დარჩა ქარშული,  
უკვე გავხდი ჟრღამურული!

თარგმანი  
ვასო გულეურის



## სუფთა ცხვარი

– ცელქო ცხვარო, ცხვრისშვილო,  
თხუპნიავ, რით გიშველო?

ჭუჭყიანი წვები, გაგჩეჩვია თმები.  
– ხვალე დამბანს დილის ცვარი.  
და გავხდები  
სუფთა ცხვარი!

თარგმანი მარიამ წიკლაურის

## ყვანჩალა მიფრინავს

### ჩიტების ბაზარში

ყვანჩალა მიფრინავს  
ჩიტების ბაზარში,  
უნდა რომ გაყიდოს  
რაცა აქვს ლამაზი.



ეს არის ძვირფასზე ძვირფასი „ყვა“! –  
კილოა ერთი და ორმოცდაცხრა.

– და რამდენს აფასებ  
ყვანჩალავ, „ყვას“?  
– უფასოდ ინებეთ,  
– ყვა-ყვა-ყვა-ყვა!

თარგმანი  
ლელა ცუცქირიძის



## წენარი საათი

ჩაის კოვზი პანანინა,  
დიდი კოვზი – სადილის,  
კოვზი, ჩამჩას რომ ვეძახით,  
რიგში ჩადგნენ ამ დილით.

აი ასე, დაეწყვნენ და  
სასეირნოდ მიდიან.  
მაქმანიან სუფრის ირგვლივ  
მოედანი დიდია.

ჩაის კოვზი ახტა-დახტა  
და ფინჯანში მკვირცხლად ჩახტა,  
დიდმა კოვზმა ფაფის თეფშში  
მოადინა ტყაპანი,  
ჰოდა, ჩამჩაც ვერ გადარჩა –  
სუპით სავსე ქვაბში  
ჩახტა სულ ერთ წამში.

თარგმანი ირმა მალაციძის

ჩაის კოვზმა, დიდმა კოვზმა,  
ჩამჩამ, რაღა თქმა უნდა,  
როცა მორჩნენ სადილობას,  
როგორც წესი და პირობა,  
დაიბანეს პირი, ხელი,  
ბუფეტისკენ – ჰერი-ჰერი! –  
დანვნენ დასაძინებლად.  
სუფრაზე კი ლაქა დარჩა,  
დაისვარა თეთრი ფარჩა  
ლაქა – ჩაის,  
ლაქა – ფაფის,  
ერთიც – ლაქა წვნიანის.  
კოვზებს რულიც არ ადგებათ,  
დარდი ანევთ ზიარი,  
ბუფეტიდან ისმის ხმები  
სევდიანი წკრიალის.

წაყუარა დასაყუარა



## გამარჯობა, კუდქიტინავ!

– გამარჯობა, კუდქიტინავ,  
თავს როგორ გრძნობთ, მაცოდინა?

– გაგიმარჯოს, წუნკო დრუნჩო,  
არ მიკბინოს, მაგ დრუნჩს უჯობს!..

ასე ბჭობდა ლეკვი კუდთან –  
ვერ იჭერდა, თუმცა სურდა!

თარგმანი რობი მესხი







# მურაბა

მარიკუნა ხეხილის ბაღში წავი-  
და, ატმის დასაკრეფად.

ხეზე ნელ-ნელა აცოცდა. და  
ატმის კრეფა დაიწყო.



ცარიელი კალათა მსუბუქი იყო. მაგრამ  
რაც უფრო მეტს კრეფდა, მით უფრო  
მძიმდებოდა.

ცოტა ხანში მარიკუნა ხის  
კენწეროზე მოექცა.





- ახლა მურაბის მოხარშვის დროა, - თქვა ბებომ. მერე ატამი კალათიდან თასში ჩაყარა, კარგად გარეცხა.

შაქარი დააყარა და გაზქურაზე შემოდგა. ცოტა ხანში საამო სურნელი დატრიალდა.




- აი, უკვე მზადაა, - თქვა ბებომ და თასი გაზქურიდან გადმოდგა.

ბებომ მურაბა ქილებში ჩაასხა.



სალამოს ბებომ სუფრა გაანყო და მარიკუნა და პაპა ერთად ჩაიზე მიიპატიჟა. სამივე სიამოვნებით შეეცეოდა ქარვისფერ, სურნელოვან მურაბას.



სამსწერის რამა იყვანა



# ნისლი

ნისლი მთის ფერდობებს შეჰფენოდა.

რადგან ვერასოდეს აღწევდა უფრო მაღლა, მწვერვალი ისე შემოდგებოდა ხოლმე ნისლიან ზედაპირზე, როგორც ბრწყინვალე გვირგვინი – თეთრთმიანი და თეთრწვერა მეფის პატივცემულ თავზე.

ნისლი არასდროს ქრებოდა – დროდადრო მხოლოდ მცირდებოდა... ისიც – მეტის-მეტი სიცხისას...

ნისლი ფერდობზე შეფენილ პატარა სოფელს ისე დაეფინებოდა ხოლმე, რომ სოფლის მაცხოვრებლები ერთმანეთს კი არა, ლამის საკუთარ ცხვირს ვეღარ ხედავდნენ...

ნისლი ადამიანებს ხელს უშლიდა.

ადამიანებს სძულდათ ნისლი.

უკვირდით კიდეც – ჩვენი წინაპრები აქაურობას რატომ კარგა ხნის წინათ არ მოშორდნენო...

ადამიანებმა გადაწყვიტეს ნისლის მოსპობა.

სოფლის უხუცესს – ბუნებას წინ ვერავინ აღუდგებო, რომ გაიძახდა – ყური არავინ უგდო...

რადგან თავად არ იცოდნენ ნისლის მოსპობის წესები, საქვეყნოდ განაცხადეს, ამის შემძღეს ბევრ ოქროს ვუბოძებთო... და რაც კი ებადათ, ოქროზე წინასწარ გადაცვალეს – მერე ჩვენი რჩეული არ ვალოდინოთ, სიტყვა დროულად ავასრულოთო...

ეჰ, რჩეული კი...

დაიძრა ნისლისკენ მრავალი...

ზოგი ხმალშემართული ეკვითა ნისლის ბოლქვებს, ზოგმა ალაგ-ალაგ კოცონი დაანთო – ნისლს გავაშრობო, ზოგმა პეპლების საჭერი ბადით დაუნყო დევნა – მოვაგროვებ, თავს ერთად მოვუყრი და მერე ადვილად გავანადგურებო... ვილაც ოხუნჯმა სოფელს ისიც კი განუცხადა – ამ ნისლს თუ მოსპობთ, მე თქვენს დაპირებულ ოქროზე ორჯერ მეტ ოქროს გადაგიხდითო; ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი, ახლა თავად სოფლელებმა იწყეს ნისლის ქულების დევნა... რა თქმა უნდა, უშედეგოდ...

ესე იგი, ნისლმა გვაჯობაო – ამბობდნენ გულდანყვეტილი და შერცხვენილი სოფლელები; რადგან ასეა და ჩვენი ერთად ყოფნა არ იქნება, ავიყრებით და სხვაგან გადავსახლდებითო – გადაწყვიტეს... ჯერ ბარგი შეკრეს, მერე სახლების დაშლა დაიწყეს – ახალ ადგილზე მშენებლობისთვის დაგვჭირდებაო...

სოფლის უხუცესს – რა გაგვიჭირდა ასეთი, ნისლს ვერ ვგუობთ... ფერფლი, ჭვარტლი და მური ხომ არაა, ქათქათა და უვნებელი ნისლია და მოდით, მასთან ერთად ცხოვრება ვისწავლოთო, რომ ქადაგებდა – ისევ არავინ მოუსმინა...

ერთმა ველურმა და კაციჭამია ტომმა ყური მოჰკრა, ერთ ნისლიან სოფელში ბევრი ოქრო ჰქონიათო და მათზე თავდასხმა გადაწყვიტა.



შეიარაღებული, კბილებდალესილი და ცხენებზე ამხედრებული კაციჭამიები ნისლიანი სოფლისკენ გაემართნენ.

იარეს, იარეს... დაინახეს ნისლიანი მთა და სოფლისკენ მიმავალ ფერდობს საშინელი ყიჟინითა და ველური შეძახილებით აუყვნენ.

გაიგო სოფელმა ყიჟინა. მიხვდნენ, მტერი მრავალრიცხოვანიაო და, თავის დასაცავად, სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრეს, ნახევრადდაშლილ სახლ-კარში შეიყუვნენ; არადა, ეს ნახევრადდაშლილი ქოხები მტრისგან დაცვაში რას უშველიდათ...

კაციჭამიებმა სოფლის დასაწყისი შენიშნეს და სიხარულისგან უზარმაზარ დოლებზე ბრაგა-ბრუგი ატეხეს – ბრძოლებში დამხვდურთა შესაშინებლად.

დოლების ბრაგუნმა ბრძოლის სურვილი გაუათმაგათ – კბილები აუკანკანდათ ველურებს, მთელი ძალით გადაჰკრეს ცხენებს მათრახები და გასუსულ და შეშინებულ სოფელს ლამის მიადგნენ კიდეც, მაგრამ... მალა, მთის ყველაზე მაღალ ფერდობებზე შემომჯდარი ნისლი ნელ-ნელა დაბლა ჩამოიღვენთა... ჩამოიღვენთა და სოფელს მფარველის კალთასავით გადაეფარა – სოფელი საერთოდ გაქრა ნისლის ქვეშ... გაოცებული ველურები და დაბნეული ცხენები – მიზანი თვალსა და ხელს შუა რომ გაუქარნლდათ – გზაზე შედგნენ. ცხენებმა ჭიხვინი ატეხეს. ველურებმა, გზა სულ არ აგვერიოსო, და ძველი გეზით გაემართნენ... მაგრამ სოფელს ვერა და ვერ მიუახლოვდნენ – ასე ფიქრობდნენ თავად, თორემ სინამდვილეში მიუახლოვდნენ და გასცდნენ კიდეც – სულ ახლოს, ნკიპზე ჩაუარეს...

იარეს, იარეს, იარეს...

ველურთა ბელადმა იფიქრა, ჩანს, ნელა მივდივართ და სოფელს ამიტომაც ჯერ ისევ ვერ მივაღექითო. განრისხებულმა მთელი ძალით დასჭყივლა თავდამსხმელებს. ამან ველურები გვარიანად გამოაფხიზლა, ცხენებს მათრახები გადაჰკრეს – მთელი სისწრაფით გაქროლდნენ და... სულ ერთმანეთის მიმდევრობით გადაცვივდნენ ნისლით შეფარულ თვალმოუვლებელ უფსკრულში...

სოფელმა შვებით ამოისუნთქა.


მერე ადამიანები დასხდნენ, იფიქრეს, იფიქრეს...

მერე ქოხებს დახსნილი ნაწილები უკანვე მიამაგრეს, ბარგიც ამოალაგეს და სულ სხვა ხალისით განაგრძეს წინაპრების მიწაზე ცხოვრება...

ჰო, ამის მერე აღარ წუნუნებდნენ, აღარც ნისლს ემდუროდნენ და უხუცესსაც ყურადღებით უსმენდნენ...







# ამინდის პროგნოზის კონცერტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ამინდის პროგნოზი. მოცლა არ ჰქონდა, ყოველ დილით ტელევიზიიდან ტელევიზიაში გადადიოდა და აცხადებდა და აცხადებდა მოსალოდნელ ამინდს. უხალისობას ვერ დაიჩივლებდა. ეგაა, დილის ყავას ვერ ასწრებდა და თითო ყლუპს ხან სად მოასწრებდა და ხან სად. ერთხელაც, გადანყვიტა საქველმოქმედო კონცერტი გაემართა. მხოლოდ არ იცოდა, ვისთვის და არც ის იცოდა, რატომ. გადანყვიტა მზადებას დავინყებ და დანარჩენიც გამოჩნდებაო. პირველ რიგში ყველანი ერთად შეკრიბა. თოვლმა – მზესთან ერთად არ დავჯდები, ძალიან ზემოდან მიყურებს, მერე გავბრაზდები და წავალო. წვიმამ – ორი ღრუბელი არ მომისვა აქეთ-იქით, მაგათი გაშველება აღარ შემიძლიაო. ქარმა – მე მივხედავ ამათ, შენ არაფერზე იდარდო და მოჰყვა ხითხითს, აქეთ-იქით ქროლვას. კონცერტზე რომ გაიგეს, სიხარულით გადაირივნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ, ატეხეს ჟრიაბული, ვინ გამოვიდოდა პირველი, ვინ დახურავდა კონცერტს, იქნებოდა თუ არა დუეტები და ა. შ. დიდი მსჯელობის შემდეგ გადანყვიტეს, რომ:

1. კონცერტი ჩატარდებოდა ღია ცის ქვეშ;
2. არ გაიყიდებოდა ბილეთები;
3. პირველი იმღერებდა წვიმა;
4. ლექსებს ჩამოარაკრავდნენ პატარა ფუმფულა ღრუბლები;
5. ელვა გაანათებდა სცენას;
6. ქარი იცეკვებდა სამბას და ჩა-ჩა-ჩას;
7. მზე იცეკვებდა დაისს სხივებთან ერთად;
8. კონცერტს დაასრულებდა დიჯეი ქუხილი;

თათბირის შემდეგ ნიაგმა სუსტი და უკვე დაღლილი ხმით დაიჩივლა – კი, მაგრამ საქველმოქმედო თუ იქნება კონცერტი, ან ფულს როგორ ვაგროვებთ და ან ვის ვეხმარებითო. ამინდის პროგნოზმა მოფიქრებისთვის ერთი დღე ითხოვა და ყველანი საკონცერტო ნომრების მოსამზადებლად წავიდნენ. გათენდა მეორე დილა, ვიდრე ტელევიზიაში გაიქცეოდა პროგნის (დამავინყდა მეტევა, რომ პროგნოზს მამა პროგნის ეძახდა), განცხადება შემოეკითხა. აი რა ენერა იქ:

„ძვირფასო საზოგადოებავ, მოგმართავთ კრძალვითა და დიდი იმედით, რომ გამოიჩინთ გულისხმიერებას და მაპოვნინებთ სიხარულს, ღიმილს, მეგობრების გვერდით ყოფნას, მხიარულებას და ცოტაოდენ უდარდელობას. ეს უკანასკნელი დიდი ხანია აღარსად მინახავს, გთხოვთ და გელით.“

ამინდის პროგნოზი მიხვდა, რომ სწორედ მისი კონცერტი დაეხმარებოდა განცხადების ავტორს. მეგობრებთან ერთად იმხიარულებდნენ, ღიმილიც იქნებოდა და უდარდელობაც და ყველაფერი ისე დასრულდებოდა, როგორც საქველმოქმედო კონცერტს შეეფერება. ნეტავ, ჩვენც ხომ არ წავსულიყავით?



დასრულდა პროგნოზი





# ვინ მინდა კიყვი?



ნათია ჯანაშია

როგორ მოიქცევი თუკი მეგობრისთვის წერ-  
ოლის ან ლია ბარათის მოგინდება? აბა, კარგად  
ლაფიქრდი, რომელ დაწესებულებას უნდა მიმ-  
ართო ამ ღროს? რა თქმა უნდა, ფოსტას! ან  
აქვს მნიშვნელობა, სად ცხოვრობს შენი მეგობარი, საფოსტო გზაწი-  
ლი ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება გაიგზავნოს. თუკი არჩესატი შორს  
ცხოვრობს, საფოსტო გზაწილმა შეიძლება თვითმფრინავით იმოგზაუროს,  
შეიძლება გემით ან მატარებლით.  
არჩესატი ის აღამიანია, ვისაც  
რაიმეს უგზავნიან.

## ფოსტალიონი კუ

უცნაურია, მგონია,  
კუ რომ ფოსტალიონია.


რას ფიქრობს ფოსტის უფროსი,  
კუს ჭკუას ვერ დაარიგებს?  
შობის მისალოც ბარათებს  
შუა მარტში რომ არიგებს?!

ამის მოთმენა ძნელია,  
რაც უნდა იყო სულგრძელი,  
ფოსტალიონად, სჯობია,  
კვლავ დააბრუნონ კურდღელი.

გაინტერესებს ფოსტალიონი  
ვინ არის? ფოსტალიონი ფოსტის  
თანამშრომელია, წერილებისა  
და ამანათების დამტარებელი.  
მას ფოსტის განყოფილებიდან  
არჩესატაძე საფოსტო გზაწილენ-  
ბის მიტანა ევალება. მე ერთ  
მახანხალა ფოსტალიონზე მინდა  
გაიპზოთ.







ციტიუს, ალტიუს, უორტიუს!

ზაზა ფახსულოია

# ბურთი, ბურთი!!!

ბურთი ბავშვებისთვის ყველაზე საყვარელი სათამაშოა. ნეტავ თუ არსებობს სადმე თუნდაც ერთი ბავშვი, რომელსაც ბურთით არ უთამაშია? ალბათ არა! გოგონებსაც ძალიან უყვართ. მაგრამ ბიჭებს ბურთის დვენას არაფერი უზჩევნიათ. მარტო ეზოში, სტადიონზე და მინდორში კი არა?! ოთახებშიც და სკოლის დერეფნებშიც კი! არ არსებობს დედამიწაზე ხალხი და ქვეყანა, სადაც ბურთით არ თამაშობდნენ! ბურთსაც თავისი ისტორია აქვს.

## ძველი ფეხბურთის ბურთები

პირველი ისტორიული ცნობები ბურთით თამაშზე 2300 წლის წინანდელია: ძველ ჩინეთში ცხოველის ტყავს ტენიდნენ ბუმბულით და მატყლით და თამაშისას მის შეგდებას ცდილობდნენ ბადეში, რომელიც დაჭიმული იყო 10 მეტრამდე სიმაღლის ბამბუკის ღეროებზე. ძველი რომაელები ფორთოხლის ზომის ბურთს ქვიშით ტენიდნენ და „ჰარპასტუმს“ თამაშობდნენ. მექსიკელი აცტეკები თამაშობდნენ მრგვალი ქვით, რომელსაც რეზინის მსგავს მასალას ახვევდნენ. იმ დროისთვის რეზინი არც ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბურთი 450 წლისაა. იგი შოტლანდიაში, გვარად სტერლინგის სასახლეში აღმოაჩინეს. 1836 წელს, ჩარლზ გუდიარმა კაუჩუკის ვულკანიზაცია დააპატენტა, ხოლო 1855 წელს ვულკანიზებული რეზინისგან პირველი ბურთი დაამზადა. 1862 წელს რიჩარდ ლინდონმა ფეხბურთის ბურთისთვის პირველი რეზინის კამერა დაამზადა. მანვე მოიგონა კლაპანი კამერისთვის, რაც მისი ადვილად დაბერვის საშუალებას იძლეოდა. მანვე კამერის საშუალებით შესაძლებელი გახდა მრგვალი ფორმის ბურთების სერიული წარმოების დაწყება.





# სპორტული ბურთები



ბურთს სპორტის ბევრი სახეობა იყენებს დღეს: ფეხბურთი, კალათბურთი, ნყალბურთი, ფრენბურთი, რაგბი, ბეისბოლი, ლელობურთი, ასევე ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჰოკეი. საჭაერო ფრენასაც ბურთით არაფერი სჯობს, თუმცა ამ სახეობების ბურთები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან წონით, საფარის სისქით, დიამეტრით და ფორმით.

ჰოკეის ბურთი მზადდება დაწნეხილი კორპის გულისაგან, მაგიდის ჩოგბურთის ბურთი – თეთრი და თხელი ცელულოზისაგან, ჩოგბურთის – რეზინისა და მაუდისაგან. ბურთების მასობრივი წარმოების პირველი შემკვეთი იყო ინგლისის ფეხბურთის ლიგა.

1872 წელს დადგინდა ოფიციალური სტანდარტი. ბურთი უნდა ყოფილიყო მრგვალი, გარშემოწერილობა 27-28 დიუმი, წონა 13-14 უნცია. 1937 წელს ბურთის წონის სტანდარტი 410-450 გრამამდე გაზარდეს.

წონის ეს სტანდარტი დღემდე ძალაშია, თუმცა მასალები და ბურთის შემადგენელი პანელების ფორმა და დიზაინი მას შემდეგ არაერთხელ შეიცვალა. 1951 წელს პირველად დაუშვეს თეთრი ფერის ბურთები. 50-იან წლებშივე დათოვლილ მოედნებზე პირველად გამოიყენეს ფორთოხლისფერი ბურთები. მთლიანად სინთეტიკური ბურთები 60-იანი წლების დასაწყისში გამოუშვეს, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს მათ სრულად გამოდევნეს ტყავის ბურთები. მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების ოფიციალური ბურთები 1970 წლიდან მოყოლებული ყველა „ადიდას“-ის წარმოებისაა. მაგრამ ამ ყველაფერზე არავინ ფიქრობს, როცა ბურთს მისდევ! მთავარი ხომ გამარჯვებაა!



მარიამ წიკლაური


## ბურთი

ყველგან ნახავ, ყველგან არის!  
ყველას უყვარს, ყველა დასდევს.  
ფეხით, ხელით, ჩოგნით, ჯოხით  
ყველანაირ თამაშს ასწრებს!  
სტადიონი, ეზო, ქუჩა,  
ბადე, ნყალი, ფარი, კარი,  
ყველას უნდა ჩაეხუტოს,  
როგორც დიდი მეგობარი!  
დაჰქრის, დახტის ყველგან, სადაც  
ხაზს გაავლებ ან ძელს დადგამ,  
გარბის მარჯვნივ, გარბის მარცხნივ,  
მრგვალი გახლავს ბურთი რადგან!

ის რომ არა, ვინ გამართავს  
ჩემპიონატს, ტურებს, ლიგებს!  
ვინც ბურთს მარჯვედ ათამაშებს,  
თავს არ ზოგავს, კიდევ იგებს!  
ფეხბურთი თუ კალათბურთი,  
რაგბი, ლელო, ბეისბოლი,  
ერთ ბურთს დასდევს ორი გუნდი!  
ესეც, გამარჯვების გოლი!







ძმები გრიმების უკვდავი ზღაპარი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ არაერთხელ იყო ეკრანიზებული, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კინემატოგრაფისტების მიერ. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ პირველად „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ მთელი საუკუნის წინ, 1916 წელს გადაიღეს. რა თქმა უნდა, ეს მუნჯი ფილმი იყო. ფიფქიას როლი მარგერეტ კლარკმა შეასრულა, რომელიც იმ დროს 33 წლის იყო. სწორედ ამ ფილმმა შთააგონა უოლტ დისნეი, თავისი უკვდავი ანიმაციური ფილმის გადაღო.



კადრი 1916 წელს გადაღებული ფილმიდან

უოლტ დისნეის ეს იდეა ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში გაუჩნდა, როცა უხმო ფილმის პრემიერას დაესწრო, რომელშიც მარგარეტ კლარკი მონაწილეობდა. როცა საკუთარი სტუდია შექმნა, გადამწყვიტა ძმები გრიმების ზღაპრის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი გადაეღო. ფიფქიას და პრინცის ცოცხალი მოდელები მოცეკვავე მარჯორი ბელჩერი და ლუის ჰაიტაუერი იყვნენ. სწორედ ისინი დახატეს მხატვრებმა, როცა ანიმაციური ფილმის პერსონაჟებს ქმნიდნენ.

ფილმზე 32 ანიმატორი და მათი 102 ასისტენტი მუშაობდა. 25 მხატვარი ფონებს ხატავდა აკვარელით, 158 მხატვარი ქალიკი კადრებს აფერადებდა, მელნით და საღებავით. 65 მხატვარი



ფიფქია და შვიდი ჯუჯა – პირველი სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმია კინოს ისტორიაში, რომელიც სტუდია დისნეიმ 1937 წელს გამოუშვა.





მარჯორი ბელჩერი

ეფექტებზე მუშაობდა. ფილმისთვის შეიქმნა მილიონი ნახატი, თუმცა მხოლოდ 250 ათასი გამოიყენეს. პრემიერა 1937 წლის 21 დეკემბერს, ლოს-ანჯელესში, **Carthay Circle** თეატრში გაიმართა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტუდიას სირთულეები შეექმნა და შემოსავლის გაზრდის მიზნით, 1944 წელს, კინოთე-



ატრებში მისი განმეორებითი ჩვენება ჩატარდა. ფილმმა დისნეის რვა ოსკარი მოუტანა. პრიზი სპეციალურად დაამზადეს – ერთი ჩვეულებრივი, შვიდი კი პატარა ოსკარი – ჯუჯების რაოდენობის მიხედვით. ცნობილია, რომ დისნეი გეგმავდა ანიმაციური ფილმის გაგრძელების გადაღებას, სახელწოდებით „ფიფქიას დაბრუნება“. სტუდიის საცავში აღმოაჩინეს ფილმის გაგრძელების კადრები, რომელზეც გნომების მიერ წვნიანის ჭამას და ფიფქიასთვის საწოლის მომზადებას ასახავდა. ნახატების რაოდენობის მიხედვით მოკლემეტრაჟიანი უნდა ყოფილიყო. არავინ იცის, რატომ თქვა დისნეიმ უარი ფილმის გაგრძელების გადაღებაზე.

2012 წელს რეჟისორმა ტარსენ სინგმა გადაიღო კომედიური ფილმი „ფიფქია“, რომელშიც ფიფქიას როლს ლილი კოლიონზი, პრინცის როლს კი არმი ჰამერი ასრულებენ. ბოროტი დედინაცვლის როლი კი ჰოლივუდის ვარსკვლავმა, ჯულია რობერტსმა შეასრულა.





ლელა ცუცქერიძე

ხსირველები



# სახალწლო ანგელოზი

მართალია, ჯერ ისევ შემოდგომაა, მაგრამ ახალი წელი ისე მიყვარს, წინასახალწლო განწყობის შესაქმნელად უკვე ნაძვის ხის მოსართავეებისა და საახალწლო კომპოზიციების დამზადებაც კი დავიწყე. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ანგელოზები, რადგან მათ გარეშე ვერც ახალი წელი და ვერც შობა ვერ წარმომიდგენია. თუ მოისურვებ და მოინდომებ, ბაც! და ისინი შენთან გაჩნდებიან. ამისთვის დაგვჭირდება:


1.



თაბახის ფურცლები, წითელი და თეთრი სქელი (მუყაოს) ფურცლები, თასმა, მაკრატელი, ნებო, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გამოჭერი თეთრი მუყაოსგან ანგელოზის თავი, წითელი მუყაოსგან - ორი ცალი კაბა. ამ ორიდან ერთს დასაწყისშივე გამოიყენებ, მეორეს - დასასრულისკენ.

2.



3.3ა



კაბის ზედა ნაწილი ერთ მხარეს მონიშნე ფანქრით. მონიშნულ ადგილს წაუსვი ნებო და დააანებე თავი.

დახატე ანგელოზის სახე. მე ასეთი მხიარული ანგელოზი გამომივიდა.

4.



5.5ა

ახლა ცოტა მოთმინება გჭირდება თაბახის თეთრი ფურცელი (სასურველია ორი მაინც) ჭერი და ჭერი სიგრძეზე, ისე, რომ აი, ასეთი წვრილი „ლენტები“ დაგიგროვდეს. ეს იქნება ანგელოზის თმა და ფრთები.



გადაკეცე „ლენტები“ (გადადე ცოტა ფრთები-სთვისაც), შეკარი თასმით და გადაკეცილი ადგილი მაკრატლით ჩაუჭერი.



6ბ

თუ გინდა, ანგელოზს სწორი თმა ჰქონდეს, „ლენტები“ დატოვე ისე, როგორცაა. მე გაჩეჩილი ანგელოზები უფრო მომწონს. ამიტომ ასე გავჩეჩე.



7.



6ა

ანგელოზის თავი უკანა მხრიდან მთლიანად დაფარე წებოთი და დაანებე თმა.



8.8ა

დაჭერი თას-მა ოთხ თანაბარ ნაწილად. გამოუკვანძე თითოეულს ერთი დაბოლოება, მეორე დაბოლოებით კი დააანებე კაბის უკანა მხარეს, ხელების და ფეხების ადგილზე.



9.9ა



10.

კაბის უკანა მხარე რომ ლამაზად გამოჩნდეს, დაანებე მეორე კაბა, რომელიც დასაწყისშივე გამოჭერი.



11.11ა

ქაღალდის მორჩენილი „ლენტებით“ გააკეთე ბანტი, ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები და დააანებე ანგელოზს მხრებთან.



12.12ა

აი, ანგელოზიც მზადაა. მე კაბაც მოვუხატე. შენ შეგიძლია, სხვანაირად მოუხატო, სულაც, სხვა ფერის კაბა ჩააცვა.

წარმოიდგინე, რა ლამაზი იქნება ასეთი ანგელოზებით მორთული ნაძვის ხე. და რა კარგი იქნება, თუ მათ მეგობრებსაც აჩუქებ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაეხარდებათ.







ვასო გულოყური

სახაშვილი ~~მ~~ გულოინარია

# მურაბა

ზამთარი მოახლოვდა. ზამთარს კი ისე არაფერი უხდება, როგორც ჩაის სმა. ხოლო ჩაის - ცხადია, უპირველესად, მურაბა!

რისი მურაბა? კაკლის, ლედვის, თეთრი ბლის, საზამთროსი, ალუბლის...

სულო და გულო - რისი მურაბა აღარ არსებობს. ვარდის მურაბა გაგისინჯავთ? და პომიდვრის? ბადრიჯნის მურაბაც რომ არსებობს, იცოდით? თქვენ რისი მურაბა გიყვართ?

თავად სიტყვა „მურაბა“ არაბული ენიდან შემოვიდა და დღეს განსაკუთრებით გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში და აზიაში. მურაბა სხვადასხვა სახეობის ხილის ან კენკრის შაქრის სიროფში ხარშვის შედეგად მიიღება. ჯემისგან განსხვავებით, რომელიც სქელი მასაა, მურაბაში მთლიანი ფორმით არის შენარჩუნებული ხილი.

მურაბის მოსახარშად უფროსი და ან ძმა დაიხმარეთ, ან სულაც უფროსებს მიეხმარეთ. მაგრამ, მგონი, ურიგო არ იქნება, ვიცოდეთ, როგორ მზადდება მურაბა.

მომზადების მეთოდი დაახლოებით ერთმანეთის მსგავსია, თუმცა ზოგიერთ მურაბას ერთხელ ხარშავენ და აციებენ, ზოგს კი - რამდენჯერმე გააციებენ და ისევ ადუღებენ. ზოგ მურაბას წინასწარ დიდი მომზადება უნდა, მაგალითად, კაკალს, ან საზამთროს; ზოგი უფრო მარტივია - მაგალითად, ატამი, კომში.

მოდით, ჩვენ შედარებით მარტივად მოსამზადებელი მურაბა ვცადოთ. თუნდაც, კომშის. კომშის მურაბა ძალიან არომატულია, და არა მხოლოდ ჩაისთან ერთად მოგეწონებათ, ისედაც მშვენივრად მიირთმევთ. კომში შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს. სამკურნალოდაც გამოიყენება - როგორც ნაყოფი, ასევე ფოთლები, კურკები... ნაყოფისგან კი მურაბის გარდა კომპოტს, ჯემს და მარმელადსაც ამზადებენ.

ახლა კი, საქმეს შევუდგეთ. ერთი კილოგრამი კომში უნდა გავფცქვნათ




და ნაჭრებად დავჭრათ. მოზრდილ ქვაბში ჩავასხათ წყალი, ავადულოთ და ფრთხილად ჩავალაგოთ კომმის ნაჭრები. როცა კომმი ცოტა შერბილდება, ფრთხილად ამოვიღოთ ქაფქირით და ლანგარზე დავალაგოთ. ნახარში კი გადავწუროთ და რაიმე ჭურჭელში ჩავასხათ - მურაბისთვის მხოლოდ 1,5 ჭიქა ნახარში დაგვჭირდება. სწორედ ამ რაოდენობის ნახარშს დავამატოთ 1 კილოგრამი შაქრის ფხვნილი და მოვხარშოთ სიროფი. როცა შაქარი კარგად გადნება, ფრთხილად ჩავალაგოთ კომმის ნაჭრები და ვხარშოთ დაბალ ცეცხლზე, ვიდრე მზად არ იქნება. აი, სულ ეს იყო. მგონი, მართლაც არ არის რთული. სამაგიეროდ, როგორ გააკვირვებთ დედას და მამას, თქვენს მოხარშულ მურაბას რომ გასინჯავენ.



## სიყვი ხარშავს მურაბეს

ემზდება ზამთრისთვის, ციყვი ხარშავს მურაბებს, შაქარს აყრის ქვაბებში კაკლებსა და უნაბებს.

ცალკე გადაუწყვია თხილები და გირჩები. რკო ჭიანი გამოდგა, ცოტა გამოირჩევა.



დაალაგებს ქილებით, თან წაანერს, სად რას დებს. ახლა თუნდაც მოთოვოს, არაფერი ადარდება.



ნატალია ოზრაცევა

# ნუ შეელოკით ძველ საშაქრეებს!



ახალ ჩაის სერვისს რომ შეიძინო, ძველი საშაქრე არ გადააგდოთ: საგულდაგულოდ გარეცხეთ, გახამებული ტილოთი გაამშრალეთ და ბუფეტის ზედა თაროზე, სულ-სულ უკან გადამალეთ.

მერწმუნეთ, ამის შემდეგ თქვენს სახლში საოცარი ამბები დატრიალდება! როგორ?

საქმეშიაში გახლავთ, რომ ძველ საშაქრეებში სტრუმისკები სახლდებიან. ვიცი, მკითხავთ, სტრუმისკები რაღა არისო?

სტრუმისკები მსუნაგი თაგვები ან ქურდბაცაცა ბელურები არ გეგონოთ, ძველ საშაქრეებში შაქრის ნამცეცების საძებრად რომ ძვრებიან. არა!

სტრუმისკები ზღაპრული, ჰაეროვანი არსებებია და მათ ყველაზე მეტად ადამიანებისთვის სასიამოვნო სიურპრიზების მოწყობა უყვართ.

როგორც კი ადამიანის მზერას იგრძნობენ, სტრუმისკები მაშინვე ოქროსფერ მტვრად იქცევიან. თუმცა, ვისაც ხალისიანი გამოხედვა და კეთილი თვალები აქვს, მოუსწრია სტრუმისკების დანახვა და ამბობენ, რომ ისინი ფაფუკი, ყვითელი ბენვის ჰაეროვან გორგლებს გვანანო. ზოგიერთი თვითმხილველი ამტკიცებს, რომ სტრუმისკებს თაფლისფერი თვალები აქვთო, ზოგი ამბობს - იისფერიო, ზოგიც - ცისფერიო.

როგორც ჩანს, სტრუმისკები ერთმანეთისგან თვალის ფერით განსხვავდებიან.

ჩვენი ზღაპრის სტრუმისკას კი, საახალწლო ნაძვის ხესავით მწვანე თვალები აქვს. იგი ძველ, თეთრკოპლებიან, წითელ საშაქრეში დასახლდა, რომელიც ოჯახის დიასახლისს ბუფეტის ზედა თაროზე გადაუნახავს. ოჯახი კი, რომელსაც მწვანეთვალეობა სტრუმისკა ესტუმრა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია: დედა მასწავლებელი, მამა ინჟინერი, ქალიშვილი კი პატარა, კიკინებიანი, ფერადწაპებიანი, ჯინსებიანი გოგონაა, რომელიც ათიანებსაც იღებს და ექვსიანებსაც.

ეს ოჯახი წლების მანძილზე მშვიდად და აუღელვებლად ცხოვრობდა ანუ, მათ სახლში განსაკუთრებული და უცნაური არაფერი ხდებოდა. ახალი წლის წინ კი ყველაფერი შეიცვალა:

მწვანეთვალეობა სტრუმისკა დაღამებამდე გასუსული იჯდა თეთრკოპლებიან, წითელ საშაქრეში. ყველას ღრმად რომ ჩაეძინა, საშაქრიდან თავი ამოყო, თავისი ფაფუკი ბენვი გაშალა, თაროდან ნარნარით ჩამოფრინდა, საძინებელ ოთახში შეიპარა და ოჯახის წევრების სიზმრებში შეაიჭყიტა, რათა უკეთესად გაიცნო თითოეული მათგანი. პირველი სასიამოვნო უცნაურობაც მოიფიქრა, ჩუმად ჩაიხითხითა და საქმეს შეუდგა.

როგორ ახდენდა სტრუმისკა სასწაულს, ნუ მკითხავთ, რადგან ეს ისეთი საიდუმლოა, ისეთი, რომ... ქვეყნად არავინ იცის!

\*\*\*

მოგესხენებათ, რამდენი საქმე და საზრუნავი აქვს ახალი წლის წინ ნებისმიერ დედიქოს. გამონაკლისი არც მწვანეთვალეობა სტრუმისკას მასპინძელი ოჯახის დიასახლისი იყო. მისი



ყველაზე მთავარი დავალება კი ოჯახის თითოეული წევრისათვის საყვარელი შოკოლადის, „დათუნიას“ ყიდვა გახლდათ.

დედამ სანუკვარი ნუგბარით სავსე პარკი საღამოს მაგიდაზე, უზარმაზარ ლანგარზე დაცალა. გოგონა სიხარულისგან დახტოდა, მამა ხელებს იფშვნეტდა, ნერწყვებს ყლაპავდა, დედა კმაყოფილი სახით უცქერდა ორივეს, სტრუმიშკა კი ხელსაყრელ მომენტს ელოდა... და აი, ჰაერში ოქროსფერი მტვერი დატრიალდა, დედას, მამას და გოგონას თვალები აუჭრელდათ და „დათუნიებით“ სავსე ლანგარზე მსხვილი, მწიფე, წვნიანი მარწყვები გაჩნდა.

მართალია, „დათუნია“ ყველას ძალიან უყვარდა, მაგრამ ნამდვილი მარწყვი და თან ზამთარში!.. რა სასწაულია!

– ნამდვილი ჯადოქარი ხარ, – უთხრა მამამ დედას.

დაღლილმა დიასახლისმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. თუმცა, ფიქრის დროც აღარ ჰქონდა და საქმეს მიუბრუნდა.

მამას კი ახალი წლის დადგომამდე დასაქოქი სათამაშო ვერტმფრენის აწყობა უნდა დაესრულებინა, ამიტომ თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა. სტრუმიშკაც იქვე დაფრინავდა. ის იყო, მამამ უკანასკნელი დეტალი მოარგო ვერტმფრენს და კვლავ ოქროსფერი მტვერი დატრიალდა ჰაერში. მამამ თვალები მოჭუტა და როცა გაახილა, ვერტმფრენის მაგივრად ნაძვის ხესავით მწვანე, სამი თავქარიანი ბაყაყი დახვდა მაგიდაზე. ბაყაყები რიგრიგობით იხდიდნენ წითელ, წვეტიან ქუდებს და ყიყინ-ყიყინით ხრიდნენ თავებს.

განა შეიძლება ამ სასწაულის დაჯერება? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ ძნელია, არ დაიჯერო, როდესაც შენი საკუთარი თვალებით უცქერ ყველაფერს!

– ოქროს ხელები გაქვს, ძვირფასო, – მიუახლოვდა მამას დედა, – შენს მეტს განა ვის მოუვიდოდა თავში ასეთი სასაცილო დასაქოქი ბაყაყების გაკეთება?

რა ექნა მამას, მეუღლისთვისაც არ დაეჯერებინა?!

მწვანეთვალება სტრუმიშკა კი თავის საშაქრეში მიიმალა და ჯადოსნური საქმეები განაგრძო – სურდა პატარა გოგონაც გაეხალისებინა. გოგონასაც ხომ ჰქონდა თავისი სანუკვარი ოცნება!

დიახ ჰქონდა: ერთი წლის წინ საჩუქრად ფერადნახატებიანი წიგნი მიიღო „ყველაფერი კატების შესახებ“, რომლის ყდაზეც მხიარული, წითური კნუტი ეხატა. მას მერე გოგონა იმ კნუტზე ოცნებობდა.

ზუსტად თორმეტ საათზე ოქროსფერი მტვერი ისევ დატრიალდა სადღესასწაულო მაგიდის თავზე და უეცრად... წითური კნუტი ნაძვის ხის ქვეშიდან გამოძვრა, მაგიდაზე აცოცდა და გოგონას თეფშს მიუცუცქდა. დედამ ეს სიურპრიზი მამას მიაწერა, მამამ იფიქრა, ალბათ კნუტი დედას ჰყავდა გადამალულიო, ბედნიერ გოგონას კი ფიქრისათვის სად ეცალა.

მხოლოდ სტრუმიშკამ იცოდა, რაში იყო საქმე.

ასე დასრულდა უცნაური საახალწლო მოულოდნელობები იმ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ოჯახში. სტრუმიშკა კი სხვა სახლში გადანახულ ძველ საშაქრეში გადაბარგდა, რათა კვლავ მიეტანა სიხარული ადამიანებისათვის.

თქვენთანაც მოვა, თუ ძველ საშაქრეებს არ გადაყრით. გთხოვთ, დამიჯერეთ, თორემ მხიარული და კეთილი სტრუმიშკების გარეშე ცხოვრება მოსაწყენი გახდება!







ბაციკუკუ და სამი  
ჯადოქარი  
ავტორი ჯემალ ქირია


თუ მეოთხე ან მეხუთე კლასელი ხარ, გიყვარს დეტექტივები და ფენტეზი, მაშინ „ბაციკუკუ და სამი ჯადოქარი“ სწორედ საშენო წიგნია.

ქალაქ ნადიგაიგეს მთავარ, ანუ თეატრალურ მოედანზე უჩვეულო ამბების მოწმე გახდები. სწორედ აქ გამოვლენ სცენაზე: ძილისგუდა ნოტარიუსი კოკო, არქივარიუსი ბუჭი (მამიკო ბუჭბუჭითა და ბაბუა ბუჭბუჭბუჭით), აქვე ჩამოფრინდება პანანკინტელა ვერტმფრენი, საიდანაც აყლაყუდა დიდი-ჯაჯუ, უზარმაზარი ქალბატონი ჯაჯულია და მათი პირმშო ჯაჯუ-ბიჭი გადმობრძანდებიან.

საინტერესო თავგადასავლები არც ვაჩნაძეების სახლს აკლია. ხომ არ გგონია, ერთი უბრალო შენობაა?! ჭიშკარი, კიბის საფეხურები, კარი, კუთხის კარადა, კედლის საათი, საკერავი მანქანა, სამეცადინო მაგიდა, თაროები თუ ბუხარი – ერთმანეთში საუბრობენ, მსჯელობენ და მათ თვალს არაფერი გამოეპარება. სწორედ ამ საოცარ სახლში ცხოვრობს წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირი თაია ვაჩნაძე (თავისი დაუღალავი მართა ბებოთი, მსახიობი ვაჩე მამიკოთი, თავშენახული ძროხა ელპიტეთი, ჩუმჩუმელა ფისო მირანდოლათი და საკუთარ სიზმრებთან მეომარი ძაღლი ბომბოთი).

ახლა ალბათ იკითხავ, ბაციკუკუ ვინლა არის?.. მოგახსენებთ: ბაციკუკუ სახელგანთქმული... არა, არა, უკაცრავად: უ-უსახელგანთქმულესი და უ-უმამაცესი გამომძიებელია. ის ხან ცნობილ დეტექტივ შერლოკ ჰოლმსთან ცხოვრობდა, ხან ერთი სწავლულის გლობუსში, ხან ბიბლიოთეკის წიგნის თაროზე, გრამატიკის უზარმაზარი ტომის უკან. ასე რომ ძალზე განათლებულია და დედუქციის მეთოდსაც ოსტატურად იყენებს. ბაციკუკუს ძილშიც კი ფართოდ აქვს თვალეები დაჭყეტილი. თუ გაბრაზდა, უზომოდ ღონიერი ხდება, მაგრამ თუ სიყვარული ეწვია, გული სხვანაირად უძგერს და ტირილი უნდება.

აი, ასეთია ჩემი მცირე შესავალი, დანარჩენი კი წიგნიდან უნდა შეიტყო. შეიტყო და თავად გამოამკარავო ბნელი და ნათელი მხარეებიბოროტსა და კეთილს შორის გამართულ ბრძოლაში. ნადიგაიგეში ხომ ყველაფერი აირია: ცელქი ბიჭები ჭინკებად იქცნენ, კუდრაჭა გოგონები – კუდიანებად, რუკაზე მხარეები გადალაგდა, მათემატიკაში ნულიანი გაქრა, ისტორიაში კი – თარიღები. ამასობაში ქალაქის თავისე მადიანად ამთქნარებს, პირზე ხელი თუ არ აიფარა, ხელმოსანერი ქალაღები გადაეყლაპება. ასე რომ, ყურადღებით გაჰყევი წიგნის ფურცლებს, დედუქციის მეთოდიც მოიხმედა გზადაგზა, მომღერალი ჩოჩორი ბენტოს სოლოყროყინითაც დატკბი. წინ უამრავი სურპრიზი გელის...





ჯემალ ქირია (1940-2020). ქართველი მწერალი. ავტორი ზღაპრებისა „ბუტია სპილო“, „ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარი“, „როგორ იხსნეს პატარებმა ანბანი“, „ცუნცულა და მისი მეგობრები“. აგრეთვე არის ამერიკაში გამოცემული პირველი ქართული საბავშვო ნიგნის ავტორი – მისი ზღაპარი-რომანი „ბაციკუკუ და სამი ჯადოქარი“ გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“ (1991). ნიგნი ინგლისურად თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა. დაჯილდოვდა შიო მღვიმელის სახელობის პრემიით, ნიგნისათვის „ბაციკუკუ და სამი ჯადოქარი“ (1991წ.)



შეავსე კოსმოსი ისე, რომ  
წითელ უჯრებში მიიწო  
წივას ქიჩიას წიგნის  
სახეანწოვება - ბასიკუკუ  
და სამი ჯადოქარი

1. რა ერქვა მომღერალ ჩოჩორს?
2. მთავარი გმირი გოგონას სახელი;
3. რა შეარქვეს მეტსახელად მასწავლებელს ბავშვებმა?
4. რა ერქვა ფისოს?
5. ვინ დაიბადა ქვიდან, როცა ჯადოქრებმა ტაში შემოჰკრეს?
6. ვინ იყო კოკო?
7. ფიზკულტურის მასწავლებელი;
8. არქივარიუსი, სახელად...
9. ჯადოსნური სიტყვა...
10. გენერალი...
11. რა ერქვა თაიას დედას?
12. მასწავლებელი, რომელსაც პატიკო მასწავლებელში შემთხვევით კალთაში ჩაუჯდა;
13. ჩოჩორი ბენტოს ცნობილი სოლოეროყინი;
14. ძროხა, სახელად...

15. ჯადოქრის მეუღლე;
16. რით მოვიდა ჯაჯუ-ბიჭი სკოლაში?
17. რა ერქვა ქალაქს, სადაც მოქმედება ხდება?
18. რა პროფესიის იყო მამიკო ვაჩე?
19. ვინ იყო ბაციკუკუ?










20. რა ჰქვია პატარა მფრინავ გოგონას?
21. სიტყვები, რომელიც მეგობრებს დაპატარავებაში დაეხმარა.
22. პატარა კუდიანი;





# აღწ-გენის ინტერვიუ მწერალ ნანა კახიაშვიტა




-  – რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?  
– მე მგონი, ზღაპრები.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.  
– მოდით, საბავშვო ნაწარმოებების ოთხ საყვარელ ავტორს დავასახელებ: არჩილ სულაკაური, მარკ ტვენი, ასტრიდ ლინდგრენი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.  
– გამორჩევა მიჭირს... ალბათ, უფრო „ტომ სოიერი“, „სალამურას თავგადასავალი“, „პეპი გრძელიწინდა“...
-  – როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო წიგნი და რომელია ის?  
– 1995 წელს. ეს იყო „ცხვირა ჩემპიონი“.
-  – თქვენი ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?  
– ყველაზე საყვარელი რომელია? – ეს მკითხველმა უნდა განსაზღვროს – თუ გულისხმობთ, ჩემთვის რომელია ყველაზე საყვარელი – თავისებურად, ალბათ ყველა. ასე რომ არ იყოს, არ დაწერდი.
-  – როგორ იგონებთ პერსონაჟებს?  
– თავისით მომადგებიან ხოლმე.
-  – სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?  
– ალბათ გულისხმობთ, ჩემი ნაწარმოებებიდან წიგნად რამდენია გამოცემული... სულ ორად-ორი... ისე, ცალკეული ზღაპრები და მოთხრობები სხვა ავტორებთან ერთად სხვადასხვა კრებულებში და სასწავლო წიგნებშია შესული.
-  – ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?  
– დაგეგმილად თითქმის არასდროს ვმუშაობ ახალ წიგნზე. მით უმეტეს, რომ მწერლობა ჩემ ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს... ჩემდა სამწუხაროდ, რა თქმა უნდა... როცა მოთხრობები დაგროვდება – ესე იგი, წიგნის მასალაც უკვე არსებობს.
-  – თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?  
– ალბათ უმეტესობა კეთილია. ამიტომ გამიჭირდება დაკონკრეტება. გა, მურთაზა, მზის სხივი, კირკიტა, ნუკი... ამ სიის უსაშველოდ გაგრძელება შესაძლებელი.
-  – რის წაკითხვას გვირჩევთ პატარებს?  
– პატარებს გვირჩევთ, თქვენი ასაკისთვის განსაზღვრული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების კითხვას – განურჩევლად ავტორისა, ეპოქისა, გეოგრაფიისა – ყველა ავტორს ხომ თავისი განუმეორებელი ხელწერა, ხოლო ყველა მკითხველს – ალქმის ინდივიდუალური უნარი და გემოვნება აქვს. თუმცა, ჩემს სიასაც შემოგთავაზებთ: „სალამურას თავგადასავალი“, „ტომ სოიერი“, „ბარონი მიუნჰაუზენი“, „პეპი მაღალწინდა“, „ბიძია თომას ქოხი“, „გულივერის მოგზაურობა“, „მთვარის სპეკალი“, „დევიდ კოპერფილდი“, „უთავო მხედარი“, „ალადინის ზღაპარი“ და კიდევ უამრავი....





# წიგნის ჭია-ვარა

## ახალი წიგნები



ამ წიგნში ჩვენი მთებისა და ტყეების ბინადარი ცხოველების, ფრინველების და მცენარეების თავგადასავლება ნარმოდგენილი. ეს ამბები ავტორმა მოთხრობებად დაწერა, მაგრამ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულს, ყველა ზღაპრებად ღებულა. მართლაც, ისინი საოცარი, მომხივლელი და დაუფერებელია, რომ შეიძლება ზღაპრებადაც მოგეჩვენოს. პოდა, წიგნსაც „ზღაპრად ქცეული ამბები“ დავარქვით. ნაუკითხეთ იგი - ბუნებასაც შეიძნობთ, მშვენიერ სივრცეებსაც მოავლებთ. თვალს და საინტერესო ამბებიც გაგახალისებთ.

დელფინი ფანი პატარა გოგოს ლილეს დაუმეგობრდა და დაიწყო მათი საოცარი თავგადასავალი სოხუმსა და გაგრაში. ამ თავგადასავლის კითხვისას პატარები ისწავლიან თავდადებას მეგობრისათვის, ადამიანებისათვის, გაიგებენ, რატომ უნდა გაეფრთხილდეთ მშვიდობას არამარტო „კაცთა შორის“, არამედ ადამიანებსა და გარესამყაროს შორის, რატომ არის მნიშვნელოვანი კეთილი სიტყვა ადამიანების ურთიერთობისათვის და რაც მთავარია, ძალიან შეიყვარებენ ზღვის მშვიდობისმყოფელ დელფინებს. ტექსტში ბევრი სხვა პერსონაჟია, რომელიც მეგობრებს ეხმარება და ისინი უნივერსალურ - მშვიდობის ენაზე შეტყვევებენ. რედაქტორები არიან-როსტომ ჩხეიძე და მარიამ ნიკლაური. ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ დალი მუხაძეს. წიგნის ილუსტრაციებში ხშირად შეხვდებით სოხუმისა და გაგრის ნაცნობ ადგილებს - პრინც ოლდენბურგის სასახლეს, სოხუმელების საყვარელ კაფე „ამრას“, თეატრის ზღაპრულ გრიფონებს, სადაც ფოტოს გადაღება სავიზიტო ბარათი იყო სოხუმელებისათვის.



**მთავარი შოკოლიტელი:** ირმა მალაცაძე

**შოკოლიტმცოდნე:** მარია ნიკლაური

**დანარჩენი შოკოლიტელები:** ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობერტ მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩილვინაძე, ნინო სადღობელაშვილი

**შოკ-დიზაინერი:** ნიკა ხვედელიძე



ISSN 2587-4888

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და „სსიპ ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი“ მხარდაჭერით

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“  
ელ-ფოსტა: [jurnali.Shokoliti@gmail.com](mailto:jurnali.Shokoliti@gmail.com)








საქართველოს საგარეო  
და დიპლომატიის  
მინისტროს  
საერთაშორისო  
სამსახური



ქართული ლიტერატურის  
ეროვნული ფონდი





အကုန်ပေါ့  
ISSN 2587-4888  
9 772587 488007